

კვებით პატერნებსა და შფოთვით-დეპრესიულ გამოხატულებებს შორის
კავშირი

თინათინ ქართველიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია შეყრილაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2020 წელი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესები შესაბამისად.

თინათინ ქართველიშვილი , 2020 წელი.

Abstract

Issue: Depression-anxiety condition and disordered eating patterns are the challenges of contemporaneity, since they utterly reduce physical and psycho-social welfare of the individuals. The correlation between anxiety and depression is well known, though latest researches are pointing out to the link toward eating disorders, that spread rapidly according to the statistical data carried out by World Health Organisation. Unfortunately, the spreading of disorders are not well investigated.

Goal: establishing the link between disordered eating patterns and depression-anxiety symptoms by measuring the disordered eating features and depression-anxiety symptoms of individuals living in Georgia.

Method: quantitative research was held among 117 respondents living in Georgia: 67 female, 50 male. Research was held by using eating disorder, anxiety and depression measuring standards like: Eating Disorder Examination Questionnaire (EDEQ), Beck Anxiety Inventory (BAI), Beck Depression Inventory (BDI). In addition were researched relevant demographic variables.

Results: According to above-mentioned research results, the link between disordered eating patterns and depression-anxiety psychological-somatic features is confirmed. Statistically important is to perceive connection between anxiety level and sadness upon eating, weight, shape and food restriction. Some of depression somatic features are positively correlated to disordered eating patterns. Positive correlation is seen between indicators of depression and anxiety.

Keywords: Eating disorders, Anxiety, Depression, Disordered eating patterns.

აბსტრაქტი

საკითხი: შფოთვით-დეპრესიული მდგომარეობები და არაჯანსაღი კვებითი პატერნები თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რადგან მნიშვნელოვნად ამცირებს ინდივიდთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობას. ცნობილია, დეპრესიისა და შფოთვის ურთიერთმიმართება, ასევე უახლესი კვლევები მიუთითებენ კვებით აშლილობებთან კავშირზე. მათი გვარცელება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით იზრდება. ქართულ პოპულაციაში აშლილობათა გავრცელება, სამწუხაროდ, არაა შესწავლილი.

მიზანი: არაჯანსაღ კვებით პატერნებსა და შფოთვით-დეპრესიულ სიმპტომატიკას შორის კავშირის დადგენა. საქართველოში მცხოვრები ინდივიდების არაჯანსაღი კვებითი მახასიათებლებისა და შფოთვით-დეპრესიული სიმპტომატიკის შესწავლითა და მათი ურთიერთმიმართების გაზომვით.

მეთოდი: რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა საქართველოში მცხოვრებ 117 რესპონდენტზე, მათგან: 67 ქალი და 50 მამაკაცი იყო. გამოყენებული იყო კვებითი აშლილობების, შფოთვის და დეპრესიის შემდეგი საზომები: კვებითი აშლილობების საკვლევი კითხვარი (EDEQ), ბეკის შფოთვისა (BAI) და დეპრესიის (BDI) კითხვარები. ასევე გამოკვლეულ იქნა რელევანტური დემოგრაფიული ცვლადები.

შედეგები: წინამდებარე კვლევის შედეგების თანახმად, დასტურდება არაჯანსაღი კვებითი პატერნების კავშირი შფოთვით-დეპრესიულ ფსიქოლოგიურ-სომატურ გამოხატულებებთან. სტატისტიკურად მნიშვნელოვანია კავშირი შფოთვის დონესა და ქამაზე, წონაზე და ფორმაზე წუხილს შორის. დადებით კორელაციაშია დეპრესიის ზოგიერთი სომატური გამოხატულება არაჯანსაღ კვებით პატერნებთან. დადებითი კორელაციური კავშირი იკვეთება დეპრესიისა და შფოთვის მაჩვენებლებს შორის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კვებითი დარღვევები, შფოთვა, დეპრესია, არაჯანსაღი კვებითი პატერნები.

განსაკუთრებული მადლობა

განსაკუთრებული მადლობა, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორ ია შეყრილაძეს, კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისთვის.

მადლობას ვუხდის ყველა რესპონდენტს კვლევაში მონაწილეობისთვის.